

ინტელექტუალური საკუთრების შეფასების არსი და მეთოდოლოგია. ზოგადი მიმოხილვა

კაცობრიობის განვითარებასთან ერთად, აქტუალური ხდება ინტელექტუალურ სიახლეთა შექმნა, მათი სათანადო შეფასება და სამართლებრივი დაცვა. საქართველოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო მზარდი როლი ენიჭება ინტელექტუალურ სიახლეთა სამართლებრივ უზრუნველყოფას, რადგან წარმოდგენილია მკაცრი კონკურენციის პირობებში მსოფლიო ბაზარზე ისეთი პროდუქტის დამკვიდრება, რომლის წარმოებისას გამოყენებული არ იქნება ტექნოლოგიური, ორიგინალური ან დიზაინერული სიახლე, რაც, თავის მხრივ, უზარმაზარ კაპიტალდაბანდებს მოითხოვს. შედეგად, შექმნილი პროდუქტი, დამსახურებულად იკავებს ბაზარზე გარკვეულ ადგილს და შესაბამისად, მაღალ იმიჯს უქმნის მწარმოებელ კომპანიას.

საქართველოში ამ მიმართულებით საკმაოდ ბევრია გასაკეთებელი. სამწუხაროდ, ინტელექტუალური საკუთრება, ქვეყნის მაკრო და მიკროეკონომიკური კლიმატის გაჯანსაღებაში უმნიშვნელო როლს თამაშობს. არ ხდება გათვალისწინება იმ უზარმაზარი ფასეულობებისა, რომელიც არამატერიალური აქტივების სახით გამოიხატება. ინტელექტუალური საკუთრების სწორი შეფასებით, უფლებების დაცვითა და განვითარებით მიიღწევა ბიზნესის შემოსავლების გენერირება-განვითარება.

არამატერიალურ აქტივებს განეკუთვნება ინტელექტუალური საკუთრება (პატენტები, სასაქონლო ნიშნები, ნოუ-ჰაუ და სხვა), ლიცენზიები (უფლებები ტელე და რადიომაუწყებლობაზე, უფლებები წარმოებაზე და სხვ), გამომცემლობის უფლება და სხვ.

არამატერიალურ აქტივად ინტელექტუალური საკუთრება შეიძლება ჩაითვალოს, თუ:

1. იდენტიფიცირებადია (გააჩნია სხვა ობიექტისაგან, მ.შ ანალოგიურისგან, განმასხვავებელი ნიშნები) და არ აქვს მატერიალური (ფიზიკური) ფორმა;

ნატალია ჭანტურია
სტუ-ს ასოც. პროფესორი
თამარ ბერიძე
სტუ-ს ასოც. პროფესორი
ლია კურახჩიშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

2. გამოყენებადია ორგანიზაციის საქმიანობაში და აქვს (ან ექნება) ეკონომიკური სარგებელი;

3. სასარგებლო გამოყენების ვადა აღემატება 12 თვეს;

4. გააჩნია ღირებულების და მფლობელობის უფლებების დამადასტურებელი დოკუმენტები (მ.შ. მათ შეძენაზე (შექმნაზე) გაწეული ხარჯის (ღირებულების) დამადასტურებელი დოკუმენტი).

სასაქონლო ნიშნების ღირებულება ათეულობით მილიარდ დოლარს აღწევს და იგი, როგორც ჩვეულებრივი საქონელი, ყიდვა-გაყიდვის საგანს წარმოადგენს. მაგალითად, საავტომობილო კონცერნმა Ford-მა რამდენიმე წლის წინ შეიძინა საყოველთაოდ ცნობილი ბრიტანული საავტომობილო კომპანია Lend Rover-ის ხუთი სასაქონლო ნიშანი, მათ შორის ისეთები, როგორიცაა: Rang Rover, Discovery, Freelander და Defender, რომელიც აქამდე საავტომობილო კონცერნ BMW-ს ეკუთვნოდა.

ასეთივე დიდი ღირებულებისაა ის პატენტები, ლიცენზიები თუ ნოუ-ჰაუ, რომელსაც მოწინავე კომპანიები ფლობენ და თავიანთი პროდუქციის წარმოებისას იყენებენ. კონსალტინგური კომპანია "Interbraand"-ის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა გამოავლინა, რომ მატერიალური და არამატერიალური აქტივების ხვედრითი წილის თანაფარდობამ, მაგალითად, კომპანია "British Petroleum"-ში შეადგინა 29 : 69, კომპანია IBM - 17 : 83, კომპანია Coca-Cola - 4 : 96. მსოფლიოში ცნობილი ამ რამდენიმე კომპანი-

ის მაგალითზე, კაპიტალიზაციაში შემავალ მატერიალური და არამატერიალური აქტივების წილს თუ გავანალიზებთ, ნათლად გამოჩნდება, რომ არამატერიალური აქტივები ხშირად მატერიალურ აქტივებს რამდენიმეჯერ აღემატება და ყოველწლიურად ზრდის ტენდენცია გააჩნია.

საქართველოს შეფასებისას ხშირად გაისმის ეპითეტი: “დიდი ინტელექტუალური პოტენციის ქვეყანა”. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის მატერიალური შეფასების გარეშე შეუძლებელი ხდება, არამართლზომიერი ქმედების შემთხვევაში, დამრღვევის წინააღმდეგ სწორად იქნას წაყენებული სარჩელი მატერიალური ზარალის ანაზღაურებაზე. ექსპერტების შეფასებით, ინტელექტუალური პროდუქტის არასათანადო იურიდიულ გაფორმებას, შეფასებასა და მის არასწორ მართვას, მოგების ნაცვლად, ზიანის მოტანა შეუძლია. მაგალითის სახით საკმარისია გაანალიზებულ იქნას ტრადიციული ქართული ღვინოებისა და კონიაკის მდგომარეობა. იმის გამო, რომ უმრავლესობას (ხვანჭკარა, ოჯალეში, ქინძმარაული, ენისელი, გრემი, ვარციხე და სხვ.) იურიდიული დაცვა არ გააჩნია, იქმნება ქაოსური მდგომარეობა როგორც შიდა, ისე გარე ბაზარზე. მფლობელის არარსებობა იწვევს იმას, რომ ფალსიფიკაციის შემთხვევაში არ არსებობს დაინტერესებული კანონიერი სუბიექტი, რომელიც ფალსიფიკატორის წინააღმდეგ გამოვა და კონკრეტული მარკის პრესტიჟს სამართლებრივი გზით დაიცავს. კანონიერი მფლობელი სუბიექტის არარსებობა, ასევე, იწვევს დღეისათვის ინტელექტუალური საკუთრების არარსებობას (მ. შ. სასაქონლო ნიშნების ღირებულების შეუფასებლობას, რის გამოც ვერ ხერხდება ინტელექტუალური საკუთრების ამ დიდი ფინანსური რეზერვის ამოქმედება).

ინტელექტუალური საკუთრების შეფასების საკითხი ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენს. შეიძლება აღინიშნოს, რომ მსოფლიოში შეფასების რამდენიმე მეთოდს იყენებენ, რომელიც იურიდიულ, გეოგრაფიულ, ეკონომიკურ, ისტორიულ და სოციალურ ფაქტორებს ითვალისწინებს.

არამატერიალური აქტივების შეფასებისას (მოცემული ობიექტის კონკურენტუნარიანობის პროგნოზირება, მისი სიცოცხლის ციკლის მოდელირება და სხვ.) მთავარი სირთულე მდგომარეობს შესაბამისი ბაზრის კონიუნქტურის შესახებ ობიექტური ინფორმაციის სიმცირეში, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ყველა გაანგარიშება კეთდება რეალური პრო-

გრამებიდან გამომდინარე.

არამატერიალური აქტივების შეფასება მოითხოვს არსებული მონაცემების ზედმიწევნით შესწავლას, რათა განისაზღვროს შემოსავლის ნაკადები, რომლებიც ამ აქტივებთან არის ასოცირებული, მათი სიცოცხლის დარჩენილი ვადის ინდენტიფიცირება და ისეთი შეფასების მეთოდების არჩევა, რომელიც ზუსტად ასახავს მის ღირებულებას.

საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების ობიექტთა შეფასებისთვის იყენებენ ექსპერტთა დასკვნებს. ექსპერტთა მუშაობის პროცესიდან, არსებული ინფორმაციის საფუძველზე, გამოიყოფა შემუშავებული შეფასების ძირითად მიდგომები და მეთოდები. მიმოვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

ინტელექტუალური საკუთრების ღირებულების სტანდარტებით, გაცვლის დროს, ინტელექტუალური საკუთრების ღირებულებაში (*Exchange Value*) იგულისხმება გაყიდვის ის სავარაუდო ფასი, როცა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის გაცვლის პირობები ცნობილია მხარეებისათვის და გარიგება ურთიერთსასარგებლოა.

ინტელექტუალური საკუთრების დასაბუთებული (სამართლიანი) საბაზრო ღირებულების (*fair Exchange Value*) ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ მისი, ფულად ეკვივალენტში გამოხატული ყველაზე დასაბუთებული მოსალოდნელი ფასი მაღალი ალბათობით, რომელზეც ნებაყოფლობით თანხმდებიან მყიდველიც და გამყიდველიც, ინტელექტუალური საკუთრების კონკურენტულ ბაზარზე კომერციული გარიგების დროს, მესამე პირისგან რაიმე იძულების გარეშე.

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის ბონიფიკაციის - მზარდი ღირებულების საფუძველს, მისი შეფასების მომენტში დამცავი დოკუმენტის (პატენტი, მოწმობა და სხვ.) მოქმედების ვადისგან დამოუკიდებლად, შეიძლება წარმოადგენდეს როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის კონკურენტუნარიანობა, ისე აღნიშნული ობიექტის გამოყენების ეკონომიკური ეფექტურობა. აგრეთვე, გასათვალისწინებელია, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის სამართლებრივი დაცვის მოცულობა და საიმედოობა. ინტელექტუალური საკუთრების ბაზარზე სათანადო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის სიახლის ხარისხს, პერსპექტივაში დამატებითი პატენტებით მისი დაცვის შესაძლებლობას და სხვა ფაქტორებს.

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტთა შეფასებისას, კონკრეტული მიდგომის არჩევისას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს როგორც

აუცილებელი ინფორმაციის არსებობას და ხელმისაწვდომობას, ისე ინტელექტუალური საკუთრების მესაკუთრეთა და პოტენციურ მფიდველთა მოთხოვნებს, არსებულ ეკონომიკურ სიტუაციას და სხვ. თუ განსახილველი აქტივი ინტელექტუალური საკუთრების ანალოგიურ ობიექტებს ან ამ ობიექტების მიმართ კონკრეტულ, ფიქსირებულ ინტერესებს უნდა შეედაროს, შედარების ძირითად ელემენტებს უნდა წარმოადგენდეს:

- ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის სტრუქტურა;

- გარიგების საფუძველზე გადასაცემ ქონებაზე, როგორც საკუთრებაზე, იურიდიულ უფლებათა მოცულობა (მაგალითად, სოლო, ექსკლუზიური, განსაკუთრებული, ნახევრად განსაკუთრებული, ან მარტივი ლიცენზიის გაყიდვა);

- ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის დაფინანსებასთან დაკავშირებით სპეციალურ პირობათა და შეთანხმებათა არსებობა.

ამ დროს გასათვალისწინებელია ის ეკონომიკური პირობები, რაც არსებობს ინტელექტუალური საკუთრების შესაბამის მეორად ბაზარზე ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმებისას (მაგალითად, პატენტფლობელის მიერ ნახევრად განსაკუთრებული ლიცენზიის დამატებით, სხვა სუბიექტებზე გაყიდვისას უნდა გათვალისწინებულ იქნეს ასეთი სახის ლიცენზიის მფლობელი არსებული სუბიექტის მიერ მეორად ბაზარზე გაყიდული მარტივი ლიცენზიების რაოდენობა და გაყიდვების ფასი).

შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის კონკრეტული დარგი, ან სამეწარმეო სფერო, სადაც გამოიყენება, ან იქნება გამოყენებული მოცემული ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი, არამატერიალური აქტივის სახით. გაყიდვების შედარების ხერხის გამოყენებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის როგორც ფიზიკური, ისე ფუნქციური და ტექნოლოგიური მახასიათებლები, აგრეთვე, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების გადაცემასთან, ან მათზე უფლებათა დათმობასთან დაკავშირებით გაფორმებულ ხელშეკრულებაში, სხვა არამატერიალური აქტივების ჩართვა (ხშირად, გარიგების პირობებში, ლიცენზიის შეძენისას ლიცენზიატი დამატებით ითხოვს აგრეთვე არამატერიალური აქტივის - ნოუჰაუს გადაცემასაც, რომლის გარეშეც, როგორც წესი, შეუძლებელი ხდება მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოება).

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე

ფასის განსაზღვრის პროცესში იკვეთება ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული შეფასება, კერძოდ:

1. პატენტფლობელისთვის მისაღებ შეფასებათა შორის მინიმალური, რომელთაგან ერთი მათგანი გაიანგარიშება პატენტფლობელის, ხოლო მეორე - კონკურენტის მიერ;

2. კონკურენტისთვის მისაღებ შეფასებათა შორის მაქსიმალური, რომელთაგან ერთი მათგანი გაიანგარიშება პატენტფლობელის, ხოლო, მეორე - კონკურენტის მიერ. როგორც პატენტფლობელი, ისე, მისი კონკურენტი მოლაპარაკებების დროს უნდა იყენებდნენ შესაბამის სავარაუდო შეფასებათა შორის არსებულ ისეთ სეგმენტს, არეალს, რომელიც ნაწილობრივ მაინც იქნება თანხვედრილი.

ინტელექტუალური საკუთრების ქართულ ბაზარზე გახშირდა შემთხვევები, როდესაც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის შეფასებისას გართულებულია ისეთი ობიექტის ანალოგის მოძებნა, რომელსაც შევუდარებდით ინტელექტუალური შემოქმედების შესაბამის პროდუქტს. ეს შეიძლება აიხსნას ქართული ბაზრის შეზღუდული საბაზრო ასორტიმენტით, როდესაც არ არსებობს მსგავსი ობიექტების რეალიზაციის რაიმე გამოცდილება, ან მაღალი ალბათობით არაპროგნოზირებადია მომავალი შემოსავლების რაოდენობა. ამ დროს, უმჯობესია, თუ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის ღირებულებას შევაფასებთ იმ დანახარჯთა კალკულაციის საფუძველზე, რაც აუცილებელი არის შეფასების მომენტიდან ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის შესაქმნელად (დასაცავად, საწარმოებლად) ან/და სარეალიზაციოდ. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის შესაქმნელად საჭირო ხარჯები შეიძლება შევაჯამოთ შეფასების ობიექტის ანალოგიურად, საბაზრო ფასებში, რაც არსებობს შეფასების თარიღისთვის, შეფასების ობიექტის ცვეთისა და ამორტიზაციის გათვალისწინებით.

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის შესაფასებლად, შეიძლება შევაჯამოთ მოცემული თარიღისთვის საბაზრო ფასებით გაწეული დანახარჯები, რაც საჭიროა შესაფასებელი ობიექტის იდენტური ობიექტის შესაქმნელად, იგივე მასალებისა და ტექნოლოგიის გამოყენებით. ცხადია, ამ დროს გასათვალისწინებელია შესაფასებელი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის ცვეთა და ამორტიზაცია.

ინტელექტუალური საკუთრების შეფასება შეიძლება განხორციელდეს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე წარსულში არსებული,

საწყისი დანახარჯების დაჯამებით, რომელთა გადაანგარიშება, დროის მიმდინარე მომენტი-სათვის, უნდა მოხდეს არსებული პირობებისა და მოცემულ დარგში ფასის ცვლილების ინდექსის გათვალისწინებით. შეფასებისას გასათვალისწინებელია ყველა არსებული დანახარჯი.

სრული შეფასებისთვის მხოლოდ ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინება არ იქნება საკმარისი და უნდა იქნეს გათვალისწინებული როგორც ფიზიკური, ისე, ფუნქციური, ტექნოლოგიური, მორალური და ეკონომიკური ცვეთა.

ინტელექტუალური შემოქმედების ახალი, პერსპექტიული პროდუქტის შემუშავებისას (რომელსაც დიდი ალბათობით შეუძლია მოგვცეს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი) მისი, როგორც არამატერიალური აქტივის ღირებულება უნდა განისაზღვროს მოცემული მომენტისთვის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის ღირებულების თანაფარდობით მომავალში მისი რეალიზაციის, ან გამოყენების შედეგად მიღებულ პროგნოზირებად სარგებელთან. შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც დისკონტირებული ფულადი მასის მეთოდი (*Discounted Cash Flow - DCF*), ისე, პირდაპირი კაპიტალიზაციის მეთოდი (შეიძლება წარმოიშვას ფასზე დანამატის ხარჯზე, ხარჯების შემცირებით ან მასშტაბის ეფექტის გამო). *DCF* მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, მომავლის ყველა ფიქსირებული პერიოდისთვის უნდა განისაზღვროს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის ექსპლუატაციის შედეგად მიღებული სავარაუდო ფულადი შემოსავლები. ამ შემოსავალთა ღირებულებაში კონვერტირება უნდა განხორციელდეს დისკონტირების განაკვეთისა და ღირებულების გაანგარიშების ტექნიკის გამოყენებით, მოცემულ მომენტთან მიმართებაში. ცხადია, რომ დისკონტირების მეთოდის გამოყენება გამართლებული იქნება ინტელექტუალური საკუთრების იმ ობიექტებისათვის, რომლებსაც აქვთ გამოყენების კონკრეტული ვადა, რაც შეიძლება ემთხვეოდეს პატენტის, ან ლიცენზიის მოქმედების ვადას.

რაც შეეხება დისკონტირების განაკვეთს, მისი განსაზღვრა შეფასების მომენტისათვის უნდა განხორციელდეს ინტელექტუალური საკუთრების ბაზრის მონაცემების მიხედვით. იგი წარმოადგენს ფასთა მულტიპლიკატორს და განისაზღვრება გარიგებების მონაცემების, ან ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის ღირებულების განხორციელებული ბიზნეს-გაყიდვების მიხედვით.

იგი შეიძლება განისაზღვროს, როგორც საპროცენტო განაკვეთი, რომელიც შესაძლებელია დააკავშირებულ იქნეს ინტელექტუალური

საკუთრების კონკრეტულ ობიექტში განხორციელებულ ალტერნატიულ ინვესტიციებს. ინტელექტუალური შემოქმედების პროდუქტის შექმნის, წარმოებისა და რეალიზაციის დროს დისკონტირების ნორმად შეიძლება მივიჩნიოთ სავარაუდო მოგების დონე, რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთი. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, ინტელექტუალური შემოქმედების პროდუქტებზე დისკონტის განაკვეთის ქვედა ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს 15%-ს. არამატერიალური აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, მათთვის თეორიულად გაანგარიშებული შემოსავლის დონის დროს მისი მიუღწევლობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე, რისკი, გაანგარიშებული განსხეულებული აქტივებისა და სუფთა საბრუნავი კაპიტალის შემთხვევაში.

პატენტის ეკონომიკური შეფასების მიზნით, შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს ეფექტურობის განმაზოგადებელი მაჩვენებელი. კერძოდ, ძვირადღირებული ინვესტიციური პროექტის რეალიზაციის მთელი პერიოდის განმავლობაში შეიძლება განხორციელდეს ჯამური ფულადი ნაკადის დინამიკის ცვლილების ანალიზი.

აგრეთვე მნიშვნელოვანია როიალტის განაკვეთის განსაზღვრა. იგი წარმოადგენს, ლიცენზირების სასარგებლოდ განხორციელებული ანარიცხების შეფარდებას ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის ღირებულების საერთო სიდიდესთან (ლიცენზიების მიერ ნაწარმოები და რეალიზებული პროდუქციის ხელშეკრულებით დადგენილ ფასთან).

ინტელექტუალური შემოქმედების პროდუქტის წარმოებისა და რეალიზაციის ფასი შეიძლება გამოისახოს, როგორც სალიცენზიო ხელშეკრულების მიხედვით პროდუქტის წარმოებისა და რეალიზაციის თვითღირებულებისა და ახალი პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის შედეგად მიღებული საერთო მოგების ჯამი. როიალტის განაკვეთის სიდიდე, ანუ, უფლებამფლობელის სასარგებლოდ განხორციელებული პერიოდული გადარიცხვების პროცენტი გაიზრდება, რაც მეტი იქნება დამატებითი მოგება, და შესაბამისად, დამატებითი რენტაბელობა, ანუ, რაც მეტი იქნება სხვაობა საერთო და საბაზისო რენტაბელობას შორის.

საპატენტო ლიცენზიის ფასი შეიძლება განისაზღვროს როიალტის მეშვეობით, რომელიც ფიქსირებული არის ადრე დადებულ სალიცენზიო ხელშეკრულებებში (საპატენტო ლიცენზიის კონკრეტული საგნისგან დამოუკიდებლად). პატენტები და ლიცენზიები, სავაჭრო მარკები, ფრანშიზა, სხვა ქონებრივი უფლებები შეიძლება იძლეოდეს წინასწარ გაანგარიშებულზე უფრო

მაღალ ეკონომიკურ სარგებელს. ეს უკავშირდება იმ არამატერიალური აქტივების გამოყენების ხარჯზე მიღებულ ეფექტს, რომელიც არ არის ასახული საწარმოს ბალანსზე. ხშირად, საპატენტო ლიცენზიის ყიდვით დაინტერესებული პირი მზად არის გადაუხადოს პატენტმფლობელს იმ მოსალოდნელი ჯამური მოგების 25%, რასაც იღებს კონკურენტი ლიცენზიის გამოყენებისას.

ცხადია, რომ ასეთი შეფასებით ლიცენზიანტი დაინტერესებული არ არის, გაამუდავოს ის პოტენციური პერსპექტივები, რაც უკავშირდება ლიცენზიის გამოყენებას. ამიტომ, მოსალოდ-

ნელი მოგების დიაპაზონის წინასწარი შეფასება შეიძლება განხორციელდეს მაქსიმუმ ორისამი წლის განმავლობაში.

მაშასადამე, დღეს განსაკუთრებით აქტუალურია არამატერიალური აქტივების შეფასების სწორი მეთოდოლოგიისა და მიდგომების შემუშავება-დახვეწა, რათა ქართულმა პროდუქციამ ღირსეული ადგილი დაიკავოს საერთაშორისო ბაზარზე, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საზოგადოების განვითარება-გამდიდრებას, საბოლოო ჯამში კი - მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. გიორგი ჭილაძე. არამატერიალური აქტივების შეფასების მეთოდოლოგია. ჟ. ბიზნესი და კანონმდებლობა, 2010, №21
2. <http://ceae.ru/feedback.htm>
3. <http://ceae.ru/metodic-stoimost-intelekt-sobst.htm>
4. <http://www.valuation.ge>

ОБЩИЙ ОБЗОР МЕТОДОЛОГИИ ОЦЕНКИ ИНТЕЛЛЕКТУАЛЬНОЙ СОБСТВЕННОСТИ

НАТАЛЬЯ ЧАНТУРИЯ - ассоц. проф. ГТУ

ТАМАР БЕРИДЗЕ - ассоц. проф. ГТУ

ЛИЯ КУРАХЧИШВИЛИ - докторант ГТУ

В современных экономических условиях любое производство может конкурировать на рынке, только генерируя инновационные идеи. Очень высокий уровень рыночной конкуренции в настоящее время связан с владением существенных конкурентных преимуществ. Таковыми для предприятия являются принадлежащие ему уникальные методики, технологии, научно-исследовательские разработки, существующие в виде изобретений, товарных знаков, ноу-хау (секретов производства), которые относятся к категории объектов интеллектуальной собственности. Стоимость объектов интеллектуальной собственности может быть гораздо выше, чем стоимость принадлежащего предприятию имущества — оборудования, сырья, текущих запасов готовой продукции, а в некоторых случаях может быть полностью соизмеримой со стоимостью компании.

Соответственно, разработка и внедрение методологии оценки нематериальных активов и интеллектуальной собственности, в инновационную экономику страны, является вопросом первостепенной важности.

AN OVERVIEW OF THE METHODOLOGY FOR ASSESSING INTELLECTUAL PROPERTY

NATALIA CHANTURIA - assoc. prof. of GTU

TAMAR BERIDZE - assoc. prof. of GTU

LIA KURAKHCHISHVILI - PhD of GTU

In the current economic conditions, any production can compete in the market, only generating innovative ideas. A very high level of competition in the market currently associated with owning a significant competitive advantage, which belong to the category of intellectual property. The cost of intellectual property can be much higher than the value of assets owned by the enterprise - equipment, raw materials, current stocks of finished products, and in some instances may be fully commensurate with the value of.

Accordingly, the development and implementation of a methodology for assessing intangible assets and intellectual property in innovative economy stranyb is of paramount importance.